

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №5
2018 წლის 18 იანვარი

ქ. გორი

„გორის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის №31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის და საქართველოს კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

„გორის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის №31 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 25/12/2017; 190020020.35.148.016417) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) დადგენილებით დამტკიცებული დანართის პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1. გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა			2018 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	38,431.8	38,683.5	7,724.7	30,958.8	30,974.8	327.8	30,647.0
გადასახადები	6,045.7	6,650.0	0.0	6,650.0	6,700.0	0.0	6,700.0
გრანტები	28,790.9	28,733.6	7,724.7	21,008.9	21,036.6	327.8	20,708.8
სხვა შემოსავლები	3,595.1	3,299.9	0.0	3,299.9	3,238.2	0.0	3,238.2
ხარჯები	28,039.5	24,952.7	435.9	24,516.8	23,793.1	327.8	23,465.3
შრომის ანაზღაურება	4,416.2	3,947.2	133.7	3,813.5	3,813.8	111.6	3,702.2
საქონელი და მომსახურება	3,190.6	3,609.7	142.9	3,466.8	2,999.8	46.4	2,953.4
პროცენტი	261.8	170.0	0.0	170.0	155.1	0.0	155.1
სუბსიდიები	14,203.8	13,344.5	112.5	13,232.0	13,653.6	135.0	13,518.6



გრანტები	1,066.4	347.5	2.5	345.0	0.0	0.0	0.0
სოციალური უზრუნველყოფა	3,146.1	1,618.7	34.8	1,583.9	1,572.8	34.8	1,538.0
სხვა ხარჯები	1,754.5	1,915.2	9.5	1,905.7	1,598.0	0.0	1,598.0
საოპერაციო სალდო	10,392.4	13,730.8	7,288.8	6,442.0	7,181.7	0.0	7,181.7
არაფინანსური აქტივების ცვლილება	10,580.1	18,714.6	9,229.9	9,484.7	7,292.7	0.0	7,292.7
ზრდა	11,637.5	19,294.6	9,229.9	10,064.7	7,822.7	0.0	7,822.7
კლება	1,057.4	580.0	0.0	580.0	530.0	0.0	530.0
მთლიანი სალდო	-187.7	-4,983.8	-1,941.1	-3,042.8	-111.0	0.0	-111.0
ფინანსური აქტივების ცვლილება	-362.5	-5,205.4	-1,983.5	-3,222.0	-269.2	0.0	-269.2
ზრდა	574.3	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	574.3	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	936.8	5,205.4	1,983.5	3,222.0	269.2	0.0	269.2
ვალუტა და დეპოზიტები	936.8	5,205.4	1,983.5	3,222.0	269.2	0.0	269.2
ვალდებულებების ცვლილება	-174.8	-221.6	-42.4	-179.2	-158.2	0.0	-158.2
კლება	174.8	221.6	42.4	179.2	158.2	0.0	158.2
საშინაო	174.8	221.6	42.4	179.2	158.2	0.0	158.2
ბალანსი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

”;

ბ) დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 2. გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა			2018 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები



შემოსულობები	39,489.3	39,263.5	7,724.7	31,538.8	31,504.8	327.8	31,177.0
შემოსავლები	38,431.8	38,683.5	7,724.7	30,958.8	30,974.8	327.8	30,647.0
არაფინანსური აქტივების კლება	1,057.4	580.0	0.0	580.0	530.0	0.0	530.0
გადასახდელები	39,489.3	39,263.5	7,724.7	31,538.8	31,774.0	327.8	31,446.2
ხარჯები	28,039.5	24,952.7	435.9	24,516.8	23,793.1	327.8	23,465.3
არაფინანსური აქტივების ზრდა	11,637.5	19,294.6	9,229.9	10,064.7	7,822.7	0.0	7,822.7
ვალდებულებების კლება	174.8	221.6	42.4	179.2	158.2	0.0	158.2
ნაშთის ცვლილება	-362.5	-5,205.4	-1,983.5	-3,222.0	-269.2	0.0	-269.2

”;

გ) დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 3. გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 30 974,8 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა			2018 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	38,431.8	38,683.5	7,724.7	30,958.8	30,974.8	327.8	30,647.0
გადასახადები	6,045.7	6,650.0	0.0	6,650.0	6,700.0	0.0	6,700.0
გრანტები	28,790.9	28,733.6	7,724.7	21,008.9	21,036.6	327.8	20,708.8
სხვა შემოსავლები	3,595.1	3,299.9	0.0	3,299.9	3,238.2	0.0	3,238.2

”;

დ) დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-5 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 5. გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 21 036,6 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა	2018 წლის გეგმა
გრანტები	28,790.9	28,733.6	21,036.6
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტები	0.0	300.1	0.0



სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერები	28,790.9	28,433.5	21,036.6
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	19,823.4	21,018.8	21,011.8
გათანაბრებითი ტრანსფერი	19,516.6	20,708.8	20,708.8
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	306.8	310.0	303.0
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	8,967.5	7,114.7	24.8
რეგიონების ფონდის პირველადი განაწილება	6,766.2	7,089.9	0.0
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	2,201.3	0.0	0.0
მთავრობის სარეზერვო ფონდიდან	0.0	24.8	24.8

”;

ე) დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-7 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 7. გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 23 793,1 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა			2018 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	28,039.5	24,952.7	435.9	24,516.8	23,793.1	327.8	23,465.3
შრომის ანაზღაურება	4,416.2	3,947.2	133.7	3,813.5	3,813.8	111.6	3,702.2
საკონელი და მომსახურება	3,190.6	3,609.7	142.9	3,466.8	2,999.8	46.4	2,953.4
პროცენტი	261.8	170.0	0.0	170.0	155.1	0.0	155.1
სუბსიდიები	14,203.8	13,344.5	112.5	13,232.0	13,653.6	135.0	13,518.6
გრანტები	1,066.4	347.5	2.5	345.0	0.0	0.0	0.0
სოციალური უზრუნველყოფა	3,146.1	1,618.7	34.8	1,583.9	1,572.8	34.8	1,538.0
სხვა ხარჯები	1,754.5	1,915.2	9.5	1,905.7	1,598.0	0.0	1,598.0

”;

ვ) დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:



„მუხლი 8. გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება“

განისაზღვროს გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 7 822,7 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 7292,7 ათასი ლარის ოდენობით თანდართული რედაქციით:

კოდი	დასახელება	2016 წლის	2017 წლის	2018 წლის
		ფაქტი	გეგმა	გეგმა
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	250.3	278.1	25.0
02 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	3,537.6	8,438.1	7,470.0
03 00	საგანმანათლებლო ღონისძიებები	426.2	1,002.2	153.7
04 00	სპორტული და კულტურული ღონისძიებები	195.4	1,604.5	174.0
05 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	0.0	0.0	0.0
სულ ჯამი		11,637.5	19,294.6	7,822.7

ბ) განისაზღვროს გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 530,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

დასახელება	2016 წლის	2017 წლის	2018 წლის
	ფაქტი	გეგმა	გეგმა
არაფინანსური აქტივების კლება	1,057.4	580.0	530.0
ძირითადი აქტივები	8.5	220.0	190.0
არაწარმოებული აქტივები	1,049.0	360.0	340.0
მიწა	1,049.0	360.0	340.0

”;

ზ) დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-9 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 9. გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია“

განისაზღვროს გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

ფუნქც. კოდი	დასახელება	2016 წლის	2017 წლის	2018 წლის
		ფაქტი	გეგმა	გეგმა
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	6,545.9	6,410.0	5,587.9



7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	6,544.9	6,240.0	5,401.6
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	6,544.9	6,226.4	5,301.6
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0.0	13.6	100.0
7013	საერთო დანიშნულების მომსახურება	0.0	0.0	31.2
70131	საერთო საკადრო მომსახურება	0.0	0.0	31.2
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	1.1	170.0	155.1
704	ეკონომიკური საქმიანობა	8,359.1	13,814.3	9,612.5
7045	ტრანსპორტი	4,263.9	9,001.4	1,315.0
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	4,261.0	8,991.4	1,315.0
70455	მილსადენები და სხვა სახის სატრანსპორტო საშუალებები	2.8	10.0	
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკის სფეროში	4,095.2	4,812.9	8,297.5
705	გარემოს დაცვა	2,932.5	618.8	90.0
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	128.6	0.0	25.0
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	2,803.9	618.8	65.0
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	5,519.3	7,558.7	2,580.6
7062	კომუნალური მეურნეობის განვითარება	284.9	290.3	220.0
7063	წყალმომარაგება	3,775.9	5,502.5	1,005.6
7064	გარე განათება	686.6	1,080.0	800.0
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	772.0	685.9	555.0
707	ჯანმრთელობის დაცვა	1,688.4	285.9	245.0
7072	ამბულატორიული მომსახურება	107.4	136.6	110.0
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	1,581.0	149.3	135.0
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	7,258.8	7,385.9	5,641.3
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	3,525.8	4,151.5	2,809.0



7082	მომსახურება კულტურის სფეროში	3,205.5	2,788.6	2,602.3
7083	ტელე-რადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	29.9	27.0	30.0
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	0.0	100.0	200.0
7086	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში	497.7	318.8	0.0
709	განათლება	5,376.8	6,328.4	5,993.7
7091	სკოლამდელი აღზრდა	2,770.1	2,618.2	5,953.7
7092	ზოგადი განათლება	60.9	46.2	40.0
70923	საშუალო ზოგადი განათლება	60.9	46.2	40.0
7096	განათლების სფეროს დამხმარე მომსახურება	2,545.8	3,664.0	0.0
710	სოციალური დაცვა	1,996.1	1,845.2	1,864.8
7101	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	811.4	765.9	1,006.0
71011	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	574.8	519.3	785.0
71012	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	236.6	246.7	221.0
7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	7.0	9.0	9.0
7103	მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა	61.4	66.4	30.0
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	200.2	189.3	206.0
7106	საცხოვრებლით უზრუნველყოფა	141.6	138.8	150.0
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	774.5	675.8	463.8
	სულ ჯამი	39,677.0	44,247.3	31,615.8

”;

თ) დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-10 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 10. გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო -111,0 ათასი ლარის ოდენობით.“.

ი) დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-11 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 11. გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება



1. განისაზღვროს გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება - 269,2 ათასი ლარის ოდენობით.

2. განისაზღვროს გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება 269,2 ათასი ლარის ოდენობით.";

კ) დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 02 03)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება იერსახის გაუმჯობესების მიზნით მუნიციპალიტეტში არსებული სკვერების და გაზონების გამწვანება, მოვლა-შენახვა, მოწყობა და რეაბილიტაცია. ასევე მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის მოვლა-ექსპლოატაცია.

„სამოქალაქო ბიუჯეტის“ ფარგლებში განხორციელდება სკვერების, გაზონების, საბავშვო გასართობი და სპორტული მოედნების და ვერხვების დევილთა დასახლებაში სასაფლაოს შემოღობვა.

გ.ა) საახალწლოდ ქალაქის მორთვის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 02 03 01)

წინა საახალწლო ღონისძიებების განსახორციელებლად იგეგმება მუნიციპალიტეტში გაფორმების სამუშაოების უზრუნველყოფა, კერძოდ: ხელოვნური ნაძვისხის მონტაჟი და დემონტაჟი, შენობებზე, ხის ვარჯებზე და ქუჩებში გაბმულ სადენებზე სხვადასხვა სახის დეკორატიული სანათების მოწყობა და დემონტაჟი.

გ.ბ) სკვერებისა და გაზონების ექსპლოატაცია, რეკონსტრუქცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 02 03 03)

„სამოქალაქო ბიუჯეტის“ ფარგლებში იგეგმება სკვერების მოწყობა-რეაბილიტაცია ბავშვთა გასართობი და სპორტული მოედნებით.

გ.გ) მუნიციპალური შენობებისა და მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების, ლიფტების და ეზოების კეთილმოწყობა (პროგრამული კოდი 02 03 05)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტის საკუთრებაში და ა(ა)იპ-ების სარგებლობაში არსებული შენობების რეაბილიტაცია და ეზოების კეთილმოწყობა.

გ.დ) სპორტული მოედნების მოწყობა და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 02 03 06)

„სამოქალაქო ბიუჯეტის“ ფარგლებში დაგეგმილია გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სპორტული მინიმოედნების რეაბილიტაციის თანადაფინანსება.

გ.ე) დეფექტური აქტების, პროექტების და ხარჯთაღრიცხვების მომსახურების დაფინანსება (პროგრამული კოდი 02 03 07)

მუნიციპალიტეტში დაგეგმილი სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საფუძველს წარმოადგენს მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესის გათვალისწინებით შესაბამისი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, ასევე აუცილებელ შესრულებულ სამუშაოებზე ექსპერტიზის ჩატარება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან შესაბამისობის დადგენა. ქვეპროგრამების ფარგლებში დაგეგმილია ზემოაღნიშნული ღონისძიებების განხორციელებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

გ.ვ) ა(ა)იპ – ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების ცენტრის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 03 13)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია:



მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური პრობლემების და მოთხოვნების შესწავლის, მუნიციპალიტეტის განვითარებისათვის განსახორციელებელი პროექტებისათვის თანხების მოძიების, დემოგრაფიულ, სოციალურ და ეკონომიკურ სკითხვებზე გამოკითხვების ჩატარების, ხელისუფლების და ბიზნეს სექტორის მიერ საინვესტიციო შესაძლებლობების ანალიზის, უცხოურ ორგანიზაციებთან პარტნიორული ურთიერთობის დამყარების და განვითარების სხვა პროგრამების შემუშავების მიზნით დაგეგმილია მუნიციპალიტეტის განვითარების სააგენტოს ადმინისტრაციული ხარჯების უზრუნველყოფა სუბსიდირების გზით.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შენობა-ნაგებობების სამგანზომილებიანი მოდელირება, მასზე არსებული ინფორმაციის მიმაგრება და ინტერნეტსივრცეში განთავსება; გეოინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვა. ასევე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სასოფლო და არასასოფლო დანიშნულების მიწის ნაკვეთების და შენობა-ნაგებობების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მიზნით მათი ექსპლოატაციისათვის აუცილებელი ტექნიკური დოკუმენტაციის მომზადების უზრუნველყოფა.

შიდა ტურიზმის, შემოყვანის ტურიზმის, სამთო ტურიზმისა და ალპინიზმის პოპულარიზაცია და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება მოსწავლე-ახალგაზრდობაში. ტურიზმსა და საკურორტო სფეროში მუნიციპალური პრიორიტეტების, სტრატეგიისა და წინადადებების შემუშავება. ახალი ტურისტული ადგილების შექმნისათვის რეკომენდაციების მომზადება და მრავალფეროვანი ტურისტული პროგრამების შექმნა და შეთავაზება.

გ.ზ) სასაფლაოების შემოღობვა (პროგრამული კოდი 02 03 14)

„სამოქალაქო ბიუჯეტის“ ფარგლებში გათვალისწინებულია ვერხვების დევნილთა დასახლებაში სასაფლაოს შემოღობვა.

გ.თ) ა(ა)იპ – გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სააგენტოს ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 03 16)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია გორის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობა; ეკოლოგიური პირობების გაუმჯობესება; მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დასუფთავება, მოსახლეობისგან და ორგანიზაციებისგან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა და უტილიზაცია კანონმდებლობის შესაბამისად; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სანიაღვრე არხების გაწმენდითი და სარეაბილიტაციო სამუშაოები; შადრევნების, სკვერების, მოსაცდელელების და სპორტული მოედნების მოვლა-პატრონობა; ზამთრის სეზონზე ქუჩების მოვლა-შენახვა; გორის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობების მოვლა-პატრონობა; მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კეთილმოწყობის მუნიციპალური პროგრამების, პროექტების მომზადება და მათ განსახორციელებლად ტექნიკური სამუშაოების განხორციელება; მუნიციპალიტეტის იერსახეზე ზრუნვა; დამფუძნებლის დავალებით, მრავალშვილიანი, სოციალურად დაუცველი და მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების საცხოვრებელი სახლების გამაგრება-რეაბილიტაცია; საჭიროების შემთხვევაში გორის მუნიციპალიტეტის სოფლებში შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია; გარემოს და ბუნებათსარგებლობის, მრავალფეროვნების, გადაშენების საფრთხის წინაშე და იშვიათი სახეობების შენარჩუნების და გაუმჯობესების მიზნით სარგავი მასალის (ნერგის) გამოყვანის უზრუნველყოფა; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავების დაზიანებული ტერიტორიების სპეციალური გამოკვლევა და აღდგენა, ახალი ნერგების განთავსება და არსებული ნერგების გადაბეღვის, გასხვლის და სხვა გამწვანებით-მოვლითი სამუშაოების განხორციელება; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სასაფლაოების მოვლა-პატრონობა, სარიტუალო მომსახურება, სასაფლაოების დახურვა და ახალი სასაფლაოების გახსნა კანონმდებლობის შესაბამისად; ქუჩების განათება, შენობის დეკორაციების მინათება, გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია (შეკეთება, გამოცვლა, მონტაჟი) და მასთან დაკავშირებული წინადადებების შემუშავება; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პარკირების ორგანიზების განხორციელება.";

ლ) დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. განათლება (პროგრამული კოდი 03 00)



მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა, მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

ა) სკოლამდელი განათლების დაფინანსება (პროგრამული კოდი 03 01)

გორის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 59 საბავშვო ბაგა-ბაღი, სადაც დაწყებით განათლებას იღებს საშუალოდ 5967 აღსაზრდელი.

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი დაწესებულებების შენობების რეაბილიტაცია.

ბ) განათლების ხელშეწყობისა და თანადაფინანსების პროგრამა (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ სკოლებში კლასგარეშე აქტივობების განხორციელების, აქტუალური თემებისა და პროექტების წამოწევისა და მათი დაგეგმვა-პრეზენტაციის, მოსწავლე-ახალგაზრდობაში ცნობიერებისა და მოტივაციის ამაღლების ხელშეწყობა, გორის მუნიციპალიტეტის მერიისა და სკოლების ურთიერთთანამშრომლობა და კოორდინაცია. აგრეთვე, ტერიტორიაზე არსებული სკოლების დამამთავრებელი კლასების წარჩინებული მოსწავლეების წახალისება ერთჯერადად ფინანსური დახმარების სახით (ეროვნული გამოცდების შედეგების გათვალისწინებით).

გ) ა(ა)იპ – გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე განათლების სააგენტოს ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 03 06)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია გორის მუნიციპალიტეტში არსებული სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებების მართვა, სათანადო ფუნქციონირება და მათი ავტორიზაციის მოთხოვნებთან შესაბამისი სტანდარტების რეგულარული ხელშეწყობა.

სააგენტო უზრუნველყოფს სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებების ინფრასტრუქტურულ განვითარება-გაუმჯობესებას და ინკლუზიური განათლების პროცესის ხელშეწყობას.

აგრეთვე, ახორციელებს საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოს შესყიდვას კანონით დადგენილი წესით და მერიის მიერ შემუშავებული ავტორიზაციის წესის შესაბამისად დაწესებულებათა მონიტორინგს.";

მ) დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ა) სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 01)

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სხვადასხვა სპორტული სახეობის განვითარების ხელშეწყობა და სპორტული სკოლების ფუნქციონირების ხელშეწყობა მომავალი სპორტული თაობის აღსაზრდელად. ასევე განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციის ფინანსური მხარდაჭერა ნიჭიერი სპორტსმენების აღზრდისა და წახალისების მიზნით. გაიმართება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრების დაფინანსება სპორტული სკოლების გაერთიანების მეშვეობით, რომელიც უზრუნველყოფს სპორტული შეჯიბრებების ორგანიზებას.

ა.ა) სპორტული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 01 01)

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოღვაწეობს მრავალი წარმატებული ადამიანი, რომელთა საქმიანობა მიმართულია სპორტული ცხოვრებისაკენ. მუნიციპალიტეტი ახორციელებს წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა სპორტსმენებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლენა. ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია წარმატებული სპორტსმენების და მწვრთნელების წახალისება.



ასევე გათვალისწინებულია რაგბის განვითარების ხელშეწყობა.

ა.ბ) ა(ა)იპ – ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის ფეხბურთის კლუბ „გორის“ ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 01 06)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ფეხბურთის კლუბის ფუნქციონირების ხელშეწყობის სუბსიდირება.

ა.გ) ა(ა)იპ – გორის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის სააგენტო (პროგრამული კოდი 04 01 11)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია: გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჯანსაღი გარემოს შექმნა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვა-პოპულარიზაცია; სპორტის სხვადასხვა სახეობისა და სპორტული ტრადიციების დაცვა, გაღრმავება და განვითარება; მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა; განსაკუთრებული უნარ-ჩვევების მქონე ახალგაზრდების გამოვლენა და მათი განვითარების ხელშეწყობა; ახალგაზრდებისათვის სპორტის სხვადასხვა სახეობის მაღალ დონეზე სწავლება-ორგანიზების წარმართვა; სხვადასხვა სახის ღონისძიებების – ტურნირების მომზადება და გამართულად ჩატარების უზრუნველყოფა.

ასევე, ა(ა)იპ – გორის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის სააგენტოს სუბსიდიის ფარგლებში გათვალისწინებულია ქ. გორში დ. ჩუბინიშვილის ქუჩაზე მდებარე მულტიფუნქციური ორდარბაზიანი სპორტის სასახლის მოვლა-შენახვის ხარჯები – 250 000 (ორას ორმოცდაათი ათასი) ლარის ოდენობით.;

ნ) დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 02)

პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი ახორციელებს სახელოვნებო სკოლების დაფინანსებას, რითიც ხელს უწყობს მოსწავლეთა მიერ შესაბამისი განათლების მიღებას სრული კურსით. მუნიციპალიტეტი კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში აგრძელებს ცენტრალური ბიბლიოთეკის, კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის, მემორიალური და ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმების, მწერალთა და საგამომცემლო საქმიანობის და დასვენების ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, გეგმავს სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობას, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებების დაფინანსებას.

ბ.ა) ა(ა)იპ – გორის მუნიციპალიტეტის გაზეთ „გორის მაცნეს“ საქმიანობის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 02 08)

ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს ადგილობრივი საინფორმაციო გაზეთის „გორის მაცნეს“ ყოველკვირეული გამოცემის ხელშეწყობას, რომელიც მოსახლეობას აცნობს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განვითარებულ მოვლენებს, მიღწეულ წარმატებებს და სიახლეებს სხვადასხვა სფეროში.

ბ.ბ) გორის ციხის მიმდებარე ტერიტორიის დაცვა (პროგრამული კოდი 04 02 09)

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება გორის ციხის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ნაგებობების დაცვა.

ბ.გ) კულტურული ღონისძიებების პროექტების ხელშეწყობა და თანადაფინანსების პროგრამა (პროგრამული კოდი 04 02 10)

ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აცხადებს მზადყოფნას საქართველოში ან/და სხვა სახელმწიფოში არსებული: არასამთავრობო ორგანიზაციების და მოქალაქეთა საინიციატივო ჯგუფების მიერ წარმოდგენილი პროექტების და ფესტივალების თანადაფინანსების განსახორციელებლად,



რომელიც ემსახურება კულტურული სფეროს გაუმჯობესებას.

ბ.დ) ა(ა)იპ – გორის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის სააგენტო (პროგრამული კოდი 04 02 17)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია: კულტურისა და ტურიზმის ერთიანი პოლიტიკის ჩამოყალიბება და განვითარების ხელშეწყობა; გორის მუნიციპალიტეტის ისტორიული, ლიტერატურული და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, პოპულარიზაცია; ქართული მწერლობისა და ხალხური შემოქმედების პოპულარიზაციის ხელშეწყობა; მოსწავლე-ახალგაზრდობისთვის შემოქმედებითი ნიჭის გამოვლენა-განვითარების და ინტელექტუალური დონის ამაღლების ხელშეწყობა.";

ო) დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 03)

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია შიდა ტურიზმის, შემოყვანის ტურიზმის, სამთო ტურიზმისა და ალპინიზმის პოპულარიზაცია და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება მოსწავლე-ახალგაზრდობაში.

გ.ა) ახალგაზრდული ორგანიზაციების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 04 03 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ფინანსური დახმარება ყველა იმ ორგანიზაციისა, რომელიც წარმოადგენს მიზნობრივ პროექტს, რომელშიც ნათლად იქნება ასახული ახალგაზრდული გარემოს გაუმჯობესება ან იქნება ორიენტირებული ახალგაზრდულ აქტივობებსა და ახალგაზრდების ინტელექტუალურ განვითარებაზე (ასაკი 14–29 წ.).

გორის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური აქტიურად უჭერს მხარს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტროს მიერ მხარდაჭერილ სასკოლო ოლიმპიადას, რომლის მიზანია სხვადასხვა მუნიციპალიტეტებში აქტიური და პერსპექტიული ახალგაზრდების გამოვლენა შემდგომში სხვადასხვა სპორტულ კლუბში ჩასართავად.

გორის მუნიციპალიტეტის მერიის ახალგაზრდული განყოფილება საჯარო სკოლებსა, თუ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ პროფესიულ და უმაღლეს სასწავლებელს სტუდენტებისათვის, ამავე დროს სამეურნეო საქმიანობაში და სხვა სფეროში დაკავებულ ახალგაზრდებისათვის გეგმავს სხვადასხვა სახის აქტივობებს, რომელთა მიზანია მათი სულიერი და ფიზიკური განვითარების ხელშეწყობა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება.";

პ) დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-16 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 05 00)

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებითა და შეღავათით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებისაგან.

ა) ა(ა)იპ – ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მომსახურება (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ:



-არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხვა, სასწრაფო შეტყობინების სისტემის დახვეწა და გაუმჯობესება;

-დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივი შემცირება მისი კონტროლის გზით. ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება;

-მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა;

-სადერატიზაციო სამუშაოების ჩატარება საცხოვრებელი სახლების სარდაფებსა და ბუნკერებში (კერძო სექტორის გარდა) და ამის საფუძველზე მუნიციპალიტეტში ეპიდსიტუაციის გაუმჯობესება;

-ჯანმრთელობისათვის მნიშვნელოვანი ინფექციური და არაგადამდები დაავადებებისა და მასობრივი მოშხამვების, აგრეთვე პროფესიული დაავადებების თავიდან აცილება;

-მუნიციპალიტეტში არსებული სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობის მონიტორინგი, მოსახლეობისათვის ჯანსაღი გარემოს შექმნის ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალიტეტის დასახლებულ ტერიტორიებზე ადამიანისათვის საშიში და შხამიანი ცხოველების ცხოველმყოფელობის დადგენისა და გაუვნებელყოფის ღონისძიებები.

ბ) ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები ოჯახების დახმარება (პროგრამული კოდი 05 02)

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები იმ ოჯახების, რომლებიც არ არიან დარეგისტრირებულნი ბუნებრივი აირის აბონენტებად, დახმარება თითოეულ ოჯახზე 200 (ორასი) ლარის ოდენობით.

გ) ა(ა)იპ – ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის მიუსაფარ ცხოველთა თავშესაფრის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 03)

მოსახლეობისათვის ჯანსაღი გარემოს შექმნის ხელშეწყობის მიზნით პროგრამის ფარგლებში იგეგმება მუნიციპალიტეტის დასახლებულ ტერიტორიებზე ადამიანისათვის საშიში და ცხოველების ცხოველმყოფელობის დადგენისა და გაუვნებელყოფის ღონისძიებები.

მიუსაფარი ცხოველების იზოლირება და სატრანსპორტო საშუალებების მიერ დაღუპული ცხოველის გვამების სპეციალურ ადგილებზე გატანა და დამარხვა.

დ) მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 05 05)

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფა, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურება, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება და სხვა სოციალური ღონისძიებები, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

დ.ა) მხედველობით მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (უსინათლო) პირთა ერთჯერადი ფულადი დახმარება კომუნალურ გადასახადებზე (პროგრამული კოდი 05 05 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მკვეთრად გამოხატული (უსინათლო) შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ერთჯერადი ფულადი დახმარება 250 (ორას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით. 0-დან 150 000-ის ჩათვლით სოციალური სარეიტინგო ქულის მქონე მნიშვნელოვნად



გამოხატულ (უსინათლო) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ერთჯერადი ფულადი დახმარება 200 (ორასი) ლარის ოდენობით.

დ.ბ) ასი და მეტი წლის უზუცეს დღეგრძელთა დახმარება (პროგრამული კოდი 05 05 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია გორის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებული 100 (ასი) და მეტი წლის ასაკის უზუცესების ერთჯერადი დახმარება 1000 (ერთი ათასი) ლარის ოდენობით.

დ.გ) დედ-მამით ობოლი ბავშვებისა და მშობლის (მშობლების) უფლებაშეზღუდული შვილების დახმარება (პროგრამული კოდი 05 05 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია დედ-მამით ობოლი 0-დან 18 წლამდე პაციენტის დახმარება ერთჯერადად სტაციონარული მკურნალობისათვის არაუმეტეს 500 (ხუთასი) ლარისა; 0-დან 18 წლამდე დედ-მამით ობოლი ბავშვების და მშობლის (მშობლების) უფლებაშეზღუდული შვილების ფულადი დახმარება ერთჯერადად, ყოველ ბავშვზე 1000 (ერთი ათასი) ლარის ოდენობით.

დ.დ) მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება (პროგრამული კოდი 05 05 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ერთჯერადი დახმარება თითო ბავშვზე 100 (ასი) ლარის ოდენობით ოჯახებისათვის, რომელთაც ჰყავთ 0-დან 18 წლამდე გორის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 0-დან 150 000-ის ჩათვლით სოციალური სარეიტინგო ქულის მქონე 4 (ოთხი) შვილი; აგრეთვე, ერთჯერადი დახმარება თითო ბავშვზე 200 (ორასი) ლარის ოდენობით ოჯახებისათვის, რომელთაც ჰყავთ 0-დან 18 წლამდე გორის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 5 (ხუთი) და მეტი შვილი.

დ.ე) დიალიზზე მყოფი და C ჰეპატიტით დაავადებული ადამიანების ერთჯერადი სოციალური და სამედიცინო დახმარება (პროგრამული კოდი 05 05 05)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია დიალიზზე მყოფი ადამიანების ერთჯერადი ფულადი დახმარება 500(ხუთასი) ლარის ოდენობით.

ასევე, ვირუსული C ჰეპატიტით დაავადებულ ადამიანებს, რომელთაც გააჩნიათ სოციალურ სააგენტოდან მინიჭებული 0-დან 100000 ჩათვლით სარეიტინგო ქულა, ერთჯერადი სადიაგნოსტიკო კვლევის თანადაფინანსება არაუმეტეს 150 (ას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

დ.ვ) ცერებრალური დამბლით, აუტიზმით, დაუნის სინდრომით. არომატული ამინომჟავების მეტაბოლიზმის დარღვევების მქონე, გლუტენის დაავადება, კანის ქრონიკული და ჰიდროცეფალიით დაავადებული ადამიანების სამედიცინო და სოციალური დახმარება (პროგრამული კოდი 05 05 06)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია:

0-დან 18 წლამდე ცერებრალური დამბლით, დაუნის სინდრომით, არომატული ამინომჟავების მეტაბოლიზმის დარღვევების მქონე (ფენილკეტონურია, სხვა ჰიპერფენილანემია ICD E70.0-E70.1), გლუტენის დაავადების (ცელიაკია ICD 90.0), კანის ქრონიკული (თანდაყოლილი იქთიოზი ICD Q80) და ჰიდროცეფალიით დაავადებული ბავშვების სტაციონარული, ამბულატორიული მომსახურების, მათ შორის კვლევების, სამკურნალო-სარეაბილიტაციო ღონისძიებების თანადაფინანსება ერთჯერადად არაუმეტეს 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

ცერებრალური დამბლით, დაუნის სინდრომით და ფენილკეტონურიით დაავადებული ადამიანების სოციალური დახმარება ერთჯერადად 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

0-დან 18 წლამდე აუტიზმით დაავადებული ბავშვების სამედიცინო სტაციონარული, ამბულატორიული მომსახურების, მათ შორის კვლევების, სამკურნალო-სარეაბილიტაციო ღონისძიებების თანადაფინანსება ერთჯერადად, არაუმეტეს 2000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით.

დ.ზ) მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება (პროგრამული კოდი 05 05 07)



ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია:

გორის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ მეორე მსოფლიოს ომის მონაწილეთა, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა, სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე სამშვიდობო მისიით, საბრძოლო მოქმედებებში მონაწილე ვეტერანთა, იძულებით გადაადგილებულ პირთა და უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურება, თითოეულ ბენეფიციარზე 300 (სამასი) ლარის ოდენობით.

დ.თ) სტუდენტებისა და სპორტსმენების დახმარება (პროგრამული კოდი 05 05 09)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია:

